საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია. დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი მაისი 24 1921 წ.

ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 8. ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარი და ნინო ნიკოლოზის ასული ერისთავი—ამბაკაძისა და სიძე სიმონ მიხეილის ძე ამბაკაძე აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ საყვარელ ძმის იუნკერი

**შალიკო ერისთავის**

პანაშვიდი იქნება სამშაბათს, მაისის 24, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დაიწყება საღ. 6 საათზე. 1034

ტფილისის რკინის გზის მასწავლებლობა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის ტფ. რკ. გზის 1 დაწყ. სასწ. მასწავლებლის

**ნინო ნიკოლოზის ასულის ლაჟავას**

გარდაცვალებას. 1040

საშინელი უბედურებისაგან გულდაუთუთქელი და ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარ მიხეილის ასული ნიჟარაძე-აროშიძისა და ბაბუა ექვთიმე ნიჟარაძე, უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა სპირიდონის ძე აროშიძის**

უდროოდ ტრაგიკულად დაღუპვას ქ. კავკავის ხეობაში 1920 წ. ივნისის თვეში (როგორც ეს დღეს გამოირკვა), რომლის ტირილის დღე დანიშნულია მიმდინარე წლის მაისის 24-ს სამშაბათს—დიდ სოფელ ქვიანში. (გურია-ნიგოითის სადგური) 1005

საშინელი უბედურებისაგან გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი ძმები აგაფონ და ონისიფორე სპირიდონის ძე აროშიძენი, დები თამარ და ანასტასია, სიძე სამსონ ებრალიძე, უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა სპირიდონის ძე აროშიძის**

უდროოდ ტრაგიკულად დაღუპვას ქ. კავკავის ხეობაში 1920 წ. ივნისის თვეში (როგორც ეს დღეს გამოირკვა), რომლის ტირილის დღე დანიშნულია მიმდინარე წლის მაისის 24-ს დღით სამშაბათს—დიდ სოფელ ქვიანში. (გურია-ნიგოითის სადგური). 1005

საშინელი უბედურებისაგან გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები: ივანე, სევერიანე და ზოსიმე ნესტორის ძე აროშიძენი, ბიცოლა ეკატერინე მაქსიმეს ასული დუდუჩავა—აროშიძისა და რძალი სალომე ნიკოლოზის ასული მჭედლიძე—აროშიძისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა სპირიდონის ძე აროშიძის**

უდროოდ ტრაგიკულად დაღუპვას ქ. კავკავის ხეობაში 1920 წ. ივნისის თვეში (როგორც ეს დღეს გამოირკვა), რომლის ტირილის დღე დანიშნულია მიმდინარე წლის მაისის 24-ს, სამშაბათს დიდ სოფელ ქვიანში. (გურია ნიგოითის სადგური). 1005

## თხოვნა საზოგადოებისადმი

**მიხეილ (მიშა) კონსტანტინეს ძე პალკოვნიკი იოსელიანი**

მსახურებდა პირველ ქართულ ქვეითა პოლკში კოჯორთან ბრძოლის დროს იყო მოკლული თებერვლის 24-ს ვისაც რაიმე ცნობა აქვს მის დაკრძალვის შესახებ უმორჩილესად ვთხოვ აცნობოს მის დამწუხრებულ დედას შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი გოსპიტლის ქუჩა—არტილერიის ყაზარმების მახლობლად (?) უზუნაშვილის სახლი ალექსანდრა აბაშიძის ასულ იოსელიანისას.

1017

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად ხმარდება (914 წ. 606) სქესობრივი ავადმყოფობა, ვენერიული ხუხუნათა და შარდები.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცენტრალ მკრეხელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

კბილის ექიმმა

**აპოლონ ურუშაძემ**

განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.

ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

## ქართველ მხატვართა საერთო კრება.

საქართველოს ხელოვანთა კავშირის სამხატვრო სექცია მოუწოდებს ყველა ქართველ მხატვრებს ტფილისსა და პროვინციაში მყოფთ დაესწრონ

**მხატვართა საერთო კრებას,**

რომელიც დანიშნულია მაისის 25 ს. 1921 წ. კრებას განსახილავი აქვს მეტად საჭირო საკითხები.

პროვინციიდან ჩამოსულ ამხანაგებს ბარგები აენაზღაურება კავშირის მიერ.

საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის წევრები მხატვართა სექციიდან:

პროფ. გ. ჩუბინაშვილი.
მხატვარი კად. ხიდაშელ-ერისთავი.

## პარტიულ კონფერენციისათვის.

ივნისის ხუთისთვის დანიშნულია ჩვენი პარტიის მეექვსე კონფერენცია. და უნდა ითქვას, რომ არც ერთხელ ჩვენი პარტია არ შეკრებილა ისეთ გართულებულ პირობებში, როგორც დღეს. და შინაგანი დაქსაქსულობაც ამ დროს არ ყოფილა ისეთ დონემდე ასული, როგორც დღეს. ეს ადვილი ასახსნელია, ჩვენი ქვეყანა ახალ ორბიტოში მოექცა. მინიმალისტური იდეოლოგია მაქსიმალისტურმა შესცვალა. ახალ ეკონომიური ბაზისით იქმნება ქვეყანა.

პოლიტიკური გეგმაც ახალია.

და ამ გზით მოიმართება ჩვენი ცხოვრება. ჩვენი სამშობლო სახეს იცვლის. ჩვენს ქვეყანას ახალი კოლაპოტი ექმნება. მე ადვილია თუ მიუღებელი ახალი კურსი, ყველა ქართველი მაინც არ სცილდება თავის სადარაჯოს, და განაგრძობს ერისა და რევოლიუციის სამსახურს. და ამ პირობებში, რასაკვირველია ბუნებრივია აზრთა სხვაობა. ბუნებრივია პიროვნებათა ცაქსაქსვა, რადგანაც ერია ჯერ კიდევ დაქსაქსული, ანკარიშ-მოუკრეფელი. რა ეშველება ამ დროს ყოველივე ითქმედ პარტიას? სინამდვილის აწონვა, პერსპექტივების გათვალისწინება და დაუღალავი მოქმედება. და ამ საქმისთვის ვიწვევთ კიდევ ერთხელ ჩვენს ამხანაგებს. კიდევ ერთხელ მოვახდენთ ჩვენს ძალთა აღრიცხვას. კიდევ ერთხელ უნდა ამუშავდეს ჩვენი პარტიული ლაბორატორია, სადაც ყოველთვის მზადდებოდა ჩვენი ერის და მშრომელი ხალხის მომავლის რეცეპტები.

ქართველ ერის წინაშე ჩვენი პარტია გამოვიდა გამართლებული. დღეს უფრო მეტი ხეპისყოფის გამოცდა გვაქვს. დღეს უფრო მეტად ძიმდება ჩვენი გონების ექსამენი. და საქართველოს თვალებიც ყველაზე მეტად ჩვენკენ არის მოპყრობილი, რადგან ჩვენ ვიყავით ყოველთვის ერის ბედდარაჯნი (?). და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიის ალღო არც ეხლა უმტყუნებს ჩვენს პარტიას. ვიცით რომ ჩვენი ამხანაგები დასძლევენ ყოველდღიურ სიძნელეს, გაარღვევენ იმ რუტინას, რომელიც ყოველთვის ძლიერია და ახალ მიელენის ყოველდღიურ ტლანქ ფორმაში განსჭვრეტენ მომავლის დიდებას. და ყველას დავარწმუნებთ, რომ საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტია, ამას იქით უფრო თავგამეტებით და უფრო მეტი ტემპერამენტით შემოევლება ჩვენს ერს, უფრო ალგზნებით განაგრძობს რევოლიუციის სამსახურს, და ორ დროშას, ერისა და სოციალიზმისას დაარჭობს ჩვენი ქვეყნის მაღალ ქედზე.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ეგვიპტის დამოუკიდებლობა.

ნაუენი, მაისის 13. ინგლისური გაზეთები იუწყებიან იმის შესახებ, თუ როგორ შეეგებნენ საოთ-ფაშა ზაგლულს რომელიც ლონდონში მიემგზავრება მოსალაპარაკებლად. ალექსანდრიაში, ქაიროში და რკ. გზის ყველა სადგურებზე საოთ-ფაშის და მისი დელეგაციის შესახვედრათ აურებელი ხალხი იყრიდა თავს. მათ შორის ქალებიც იყვნენ. ყოველგან კრებას აშვენებენ ეგვიპტის ეროვნული დროშები. ქაიროში დელეგაციას დიდის ზეიმით შეხვდა 200.000 კაცი. ამდენა ზღვა ხალხი დელეგაციას შეეგება ძახილით: „გაუმარჯოს ხალხის ერთგულ დამცველთ. ჩვენ მოვითხოვთ სრულ დამოუკიდებლობას".

იმავე გაზეთების ცნობით ეგვიპტელები მილნერის პროექტის თაობაზე და მისი მოლაპარაკების წარმოებაზე უარს აცხადებენ. მოითხოვენ ინგლისის გავლენისა და კონტროლისგან განთავისუფლებას და სრულს დამოუკიდებლობას და ეკონომიურ ხელშეკრულების დადების უფლებას, ესე იგი ეგვიპტის სრულ მმართველობას.

## პასუხი მე-3-ე რაირევკომის წევრს მოქ. ა. ზახარიანცს.

„პრავდა გრუზიის" 63—№-ში მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ, სადაც მოქ. ზახარიანცი ცდილობდა პასუხი გაეცა ჩემთვის.

უნდა აღვნიშნო, რომ მოქ. ზახარიანცის პასუხმა ჩემს წერილზე ერთობ დაიგვიანა და მე გადავწყვიტე, ის სრულიად ეთანხმება იმ ფაქტიურ ცნობებს, რომელიც მქონდა მოყვანილი გაზეთის ფურცლებზე მის საგმირო მოქმედების შესახებ.

უმჯობესი იქნებოდა ასეთი პოლემიკისათვის ზახარიანცს თავი დაენებებინა, რათა თავიდან აეცილებინა ქათმის ისტორია: „ქათამმა იხარა, იხარა და თავისი დასაკლავი დანა ვითომ გამოთხარაო",—სწორედ ასე დაემართა მოქ. ზახარიანცსაც, რომელსაც თავისი თავი საბჭოთა ძალაუფლების წარმომადგენლად მიაჩნია.

საქმე შემდეგშია: მე-3-ე რაირევკომმა განიზრახა მოქ. ა. ფურაქიშვილის სახლების დაჭერა და ეს საქმე მიანდეს ა. ზახარიანცს, როგორც რაირევკომის მდივანს. მოქ. ზახარიანცი კი მის მაგიერ, რომ საქმე მოეწესრიგებინა კანონიერის გზით, ე. ი. მიემართა უპირველესად ყოვლისა ცენტრალურ საბინაო განყოფილებისათვის,—მიბრძანდა უშუალოდ მე-7-ე რაიონის საბინაო ქვეგანყოფილების უფროსთან და მოსთხოვა კატეგორიულად, რათა ფურაქიშვილის სახლების ზედა სართული დაუყონებლივ განთავისუფლებინა. ვეკითხები მოქ. ზახარიანცს, ქონდა მას ამის უფლება თუ არა?.. ნუ თუ ზახარიანცმა არ იცის, რომ არც ერთი რა შემთხვევაში ცენტრალურ საბინაო განყოფილების ორდერის გარეშე არ შეიძლება დაკავებულ იქნას არც ერთი ოთახი?!.

ქონდა—კი მას ასეთი ორდერი თავიდანვე? არა. მაშასადამე რა უფლებით თხოულობდა ზახარიანცი ბინების დაცლას?!. მოლოს, როდესაც მე-7-ე რაიონის ინსპექტორმა განუმარტა არსებული წესი და დაარწმუნა ზახარიანცი, რომ ის არ იყო მართალი თავის მოთხოვნილებაში—ზახარიანცმა მიმართა ცენტრალურ განყოფილებას,—მაგრამ აქაც არ დაიცვა არსებული წესი და მის მაგიერ რომ მოეტანა ცენტრიდან მოწერილობა წინასწარ ამ საკითხის გამოსარკვევლად, როგორც საზოგადოდ, ხდება და პირდაპირ ორდერი გამოიტანა. მაშასადამე ორდერის გამოტანა მოხდა ზახარიანცის წყალობით წინასწარ ამ საკითხის გამოურკვევლად და არავითარი აზრი რაიონის ინსპექტორისა ამის შესახებ ცენტრს მოსმენილი არ ქონდა; სწორედ ამით აიხსნება, რომ რაიონის ინსპექტორი წინააღმდეგი გახდა 24 საათის განმავლობაში სისრულეში მოეყვანა აღებული ორდერი, როგორც ამას ზახარიანცი თხოულობდა.

მოქ. ზახარიანცი თვითონ ამბობს თავის წერილში. „после первого—же предупреждения, когда ни одна квартира не была очищена, я в категорической форме предложил районному инспектору освободить помѣщеніе для ревкома".

საქმეც ამაშია. თქვენ ქონდათ ამის უფლება კატეგორიულად გებრძანებინათ რაიონის ინსპექტორისთვის ბინების დაცლის შესახებ?!—არა, არ ვიცი შეიძლება თქვენ მოქ. ზახარიანცო, გასაკუთრებული უფლებებით ხართ აღჭურვილი ავლაბარში,—მაშინ უკაცრავად!..

თქვენ ისე გაათამამდით კიდეც, გასაღებებიც-კი გამოართვით ქ-ნ ზორიანცის ქვრივს და დაუწყეთ ქვედა სართულს თვალიერება. დიახ თქვენ გადაამეტეთ თქვენ უფლებებს, ჩაერიეთ სხვის ფუნქციებში და ამით შეიტანეთ ამ საქმეში გარეშე ცუდი ატმოსფერა, რაც დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ასეთი გამოსვლები ქმნიან ანარქიას და ძირს უთხრიან არსებულ მდგომარეობას, შემდეგ მოქ. ზახარიანცი ამბობს, ვითომ მე ტყუილი დამეწეროს და არავითარი არა საჭიროსი სიტყვები მთავრობის თავმჯდომარის მიმართ მას არ ეთქვას საჯაროდ.

ასეთი უმსგავსო განცხადება მოქ. ზახარიანცისა — ყოველი ეს პატიოსნებას მოკლებულია. ნუ გონია მოქ. ზახარიანცს, რომ მან კვლავ შემომიბრუნოს ამბავი, ამან უფრო გაამწარა ზახარიანცი და აიღო ხელში კალამი თავის გასამართლებლად.

მე კიდევ განმეორებით ვადასტურებ: როდესაც ერთმა მანდილოსანმა წარუდგინა საბინაო ქვეგანყოფილებაში მთავრობის თავმჯდომარის ფ. მახარაძის წარწერა მისი ბინის რეკვიზიციის შეჩერების შესახებ, მოქ. ზახარიანცმა იხმარა ისეთი სიტყვები, რომლისთვისაც ყოველი მოქალაქე ჩვენში ამოყოფდა თავს—თუმცა ვგონებ ასეთი განკარგულება, თუ არ ვცდები, მის შესახებაც იყო. მოქ. ზახარიანცმა განაცხადა: „Ленин и Махарадзе для меня нуль, я дѣйствую подъ диктатурой пролетаріата"-ო. აი სანამდი მივიდა პატარა კაცის თავხედობა. მე მაინც მგონია, რომ ლენინი და მახარაძე გაცილებით

უფრო არიან პროლეტარიატის დიქტატურის გამომხატველნი, ვინემ მოქ. ზახარიანცი. ყოველივე ამას დაადასტურებს მე-7-ე რაიონის სამიხაო განყოფილების ინსპექტორი დ. ასათიანი, მისი თანაშემწე გ. ახმეტელი, ქ-ნი ზორიანცისა და ხ. მელიქმურადოვი, რომლებიც იმ დროს იქ იყვნენ. ამის შესახებ კარგად იცის თვით მთავრობის თავმჯდომარემაც, რომელთანაც ჰქონდა შემდეგ ბასი ზემოდ დასახელებულ მანდილოსანს.

აქედან აშკარაა ვინ სტყუის.

შემდეგ მოქ. ზახარიანცი ამბობს, ვითომ მე ბინა მაქვს ფორაქიშვილის სახლებში და როგორც დაინტერესებული პირი ვიცავდი, რომ ის სახლები ხელუხლებლივ დარჩენილიყო. აი აქაც სტყუის მოქ. ზახარიანცი.

ყველამ იცის, რომ მე, როგორც გიმნაზიის დირექტორს, ბინა მიჭირავს თვით გიმნაზიის შენობაში და ფორაქიშვილის სახლებში არც ერთი ოთახი არ მაქვს საცხოვრებლად.

ფორაქიშვილის სახლებში არის მოთავსებული მხოლოდ სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ავლაბრის რაიონის კომიტეტი. მართალია, ეს ორგანიზაცია, მე მოვათავსე იქა,—მაგრამ ეს მოხდა ისე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს.

ჩემის აზრით, უფრო ადვილი იყო მე-3 მე რაირევკომს დაეკავებია კოოპერატივის სახლები კახეთის ქუჩაზე—ვიდრე ფორაქიშვილისა, რაც მართლაც გაიზიარა ქალაქის რევკომის წევრებმა ამხ. ოკუჯავამ, ამხ. ლორთქიფანიძემ და მილიციის უფროსმა ამხ. ჩხეიძემ, რომლებმაც პირადათ დაათვალიერეს ეს ბინები. საბოლოო სიტყვა ამ საკითხის გადაწყვეტისა ეკუთვნის სწორედ ზემოდ დასახელებულ კომისიას და მე არავითარი წილი არ მიმიდვის.

ზახარიანცი სწერს: „Въ указанномъ домѣ помѣщается 3-ій райкомъ соціалистовъ-федералистовъ и этимъ гражд. Лорткипанидзе оказалъ услугу лишь только буржуямъ Пораковымъ и Меликъ-Муратовымъ, обитающимъ въ этомъ домѣ, отнюдь не рабочему классу Авлабара, Навтлуга и Ортачалы“.

მკითხველი აშკარად დაინახავს ამ განცხადების სრულ ულოგიკობას. ვეკითხებით: თქვენ რომ დაგეჭირათ ბინა მაშინ სოციალიზმი იქნებოდა, ჩვენ რომ დავიჭირეთ—ბურჟუობაა?! აი, აი თქვენი ლოგიკა!

ვღებულობ რა ყოველივე ზემოხსენებულს მხედველობაში: 1. რომ მას კარგად ვერ შეუგნია თავისი უფლება და მოვალეობანი, რისთვისაც ერევა სხვის საქმეებში და აშკარად ართულებს მდგომარეობას, 2. რომ ის სათანადო პატივისცემით არ ეპყრობა, საზოგადოთ, ხელისუფალთ და არ იცის უბრალო დისციპლინაც კი, რაც უკარგავს მასაში მას საჭირო ავტორიტეტს. და 3 რომ მოქ. ზახარიანცი შეპყრობილია განდიდების მანიით, რაც კოლეგიალურ მუშაობისათვის ხელის შემშლელია მე ცხადაც ვიმეორებ, რომ ასეთი პირი არ უნდა იყოს დანიშნული ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიც არის რაიონის რევკომის წევრობა.

გრ. ლორთქიფანიძე.

## მოუარეთ თავდადებულ მოღვაწეს!

გასულ საუკუნის 70 წლების ადორძინების ხანის მოღვაწე, ჩვენი ისტორიის თავდადებული მკვლევარი, საეკლესიო მუზეუმის გამგე მოსე ჯანაშვილი უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც ემსახურება უანგაროთ ქართულ კულტურას.

მისი შემწეობით საეკლესიო მუზეუმმა მრავალი ხელნაწერი და ისტორიული განძი მოიპოვა, რომელიც ალიგვებოდა დედამიწის პირიდან.

გამოსცა მრავალი წიგნი ისტორიული შინაარსისა, აგრეთვე კლასიკები: ი. შავთელი, დაამზადა სრულიად ახალი საყურადღებო ცნობებით ჩახრუხაძე მრავალი ძველი ხელნაწერების გამოკვლევისა, აგრეთვე 40 წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს ქართულ ლექსიკონისათვის, რომელიც ჯერ მზათაა გამოსაცემად.

როგორც კახელი, დინჯი, ჩუმი, უწყინარი, ტკბილი მოსაუბრე, დაიბადა ს. კაკში საინგილოში, მრავალი წერილი აქვს დაწერილი ამ მჩიდარი მხარის საქართველოსთან შესაერთებლად.

დროა ქართულ საზოგადოებამაც როგორც ყოველთვის, მასაც მიაქციოს ყურადღება, რომელმაც თავისი ღონე და ენერგია შესწირა საყვარელ სამშობლოს გათვითცნობიერებას და აყვავებას, რომ ამით საშუალება მივცეთ მოხუცების ჟამს ჭაღარა მოსილ მოღვაწეს განაგრძოს კვლავაც თავისი მუშაობა.

მ. ლიბჯონიძე.

## ხმა მასწავლებლისა

ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება დღეს, ეკონომიურის მხრივ სახალხო მასწავლებლები. ყველა ის, არ გამოიხატება კალმის საშვალებით უბრალო ქაღალდზედ, რა გაჭივრებას არ იტანენ დღეს მასწავლებლობა. ეს გამოიხატება მისი დღევანდელი ეკონომიური უბადრუკობა: 12,000 მან. ჯამაგირი ეძლევა მასწავლებელს თვეში და 90-100 ათას მანეთამდის კი ფუთი პური ღირს. განა შეიძლება ამ პირობებში ნორმალური მუშაობა?? ვფიქრობ, რომ არა. ვთქვათ რომ ამით თავი გაიტანა, სიმშილით არ მოკვდა, ტანზედ ჩასაცმელი ხომ უნდა? ვიცით, რომ დღეს ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფებით, მაგრამ მასწავლებელთათვის გაჭირვებული ვფიქრობთ არც ერთი ჯგუფი არ არის. ყველას თავისი პროფესიული კავშირი აქვს, მასწავლებლობას მართალია აქვს შექმნილი კავშირი, მაგრამ ასეთი ორგანიზაციაც ვერ იქნება მისაფერისი ცხოვრების ფეთქვის და მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას ვერ სძლებს.

არის აგრეთვე მასწ. კოოპერატივი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს მასწავლებლობას, მაგრამ შიგ არაფერი მოიპოვება და თუ რამე მოიტანე, ის ტფილისის მასწავლებლობას არ ყოფნის და პროვინციაზე ლაპარაკი ხომ სრული. მასწავლებელი დღეს დაბალი ლონეზე გამხდარა, რომელსაც ეფინება ბზიკად „თუ არ გინდათ მიპოსაძლით გზა ხსნილია“.

საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მასწავლებლობას. ვფიქრობ ეს ხალხიც გამოსადეგია სახელმწიფოსათვის. მხოლოდ მასწავლებელთა საბჭოს უნდა მოვაგონოთ, რომ მან მოიწვიოს მასწავლებელთა კონფერენცია, სადაც ერთგვარი აზრი გამომუშავდება საჭირბოროტო საკითხებზე მასწავლებლობის წარსულში ნივთიერი ტანჯვა უნდა გვაცყოფინონ და მისი მდგომარეობაც უნდა გაუმჯობესდეს დღეს აუცილებლად.

გრ. შავიშვილი.

## ცხინვალის რაიონის ქართველობა მოითხოვს მთავრობის ყურადღებას

მიუხედავად იმისა, რომ იქაურთა მეზობლად ოსებთან ცხინვალის რაიონის ქართველმა მცხოვრებლებმა არაერთხელ და ორჯელ მიმართეს მთავრობას ხან დელეგატების გამოგზავნის სახით, ხან კერძო მოხსენებებით და ხან პრესის საშუალებითაც, მთავრობამ მიიღო განსაზღვრული ზომები, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ არც ერთმა ზომამ არ მიაღწია სასურველ მიზნამდე.

ქართული ანდაზა რომ ამბობს: „ვინც რაც უნდა სთქვას, წისქვილმა კი ფქვასო“, სწორედ ასე იქცევიან ორგანიზაციულად მოწყობილნი და წიგნულ მტრები გამოწყობილნი ოსთა ბრბონი მათი მეთაურებით.

რადგან მათ ჩვენში ვერ დაინახეს შეიარაღებული ძალა, ისე გაგულისდნენ, რომ ქართველთა დაპატიმრებას და ძარცვა-გლეჯას აშკარად ეწევიან.

მაისის 18 ს ამგვარი ოსების შეიარაღებული ბრბო შუალამისას თავს დაესხა სოფ. ქვემო ნიქოზს, ზემო ნიქოზს, ქვემო ხვითს, ზემო ხვითს და სხვ. სოფლებს, სადაც არც ერთი ოსი არ მოსახლეობს და სიით ხელში ეძებდნენ „მავნე პირებს დასაჭუსადებლად და „უსამართლებლად“; სავარაუდოა ის გარემოება, რომ სიაში იყვნენ მოთავსებულნი ის პირნი, რომელთა თაოსნობითაც იგზავნებოდნენ მთავრობასთან დელეგატები, რათა ბოლო მოეღოთ ოსების თავხედობისათვის. აღნიშნულ ღამეს მოხდა რამოდენიმე მკვლელობა, ძლიერ ბევრი ხალხი მიერეკათ. ახალგაზრდობა და ცოტა თუ ბევრად შეგნებული ნაწილი სოფლისა, რომელთა წინააღმდეგაც ილაშქრებს ოსობა, იხიზნება ბაღ ვენახებში, ხოლო ნაწილი სრულიად მოშორდა სამშობლო სოფელს ა გორს, თუ თბილისს შეაფარა თავი.

ხალხი ვერ მუშაობს, ვენახები დარჩა სრულიად დაუმუშავებელი. ვენახში შესვლა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც საკმარისია ვაზის ოდნავი შენძრევა, რომ მტევანს მარცვალი სრულიად დასცვივდეს.

დიდმა ზამთარმაც არ მისცა გლეხს საშუალება ადგილების დათესვისა და დარჩენილი მიწების რიგიანად მოუვლელი თესავი, რადგანაც ხშირია არაც თუ მთელი გუთნეულების მოტაცება ოსების მიერ, არამედ ხალხის ხოცვაც კი.

ხალხი ასე მსჯელობს: „თუ ოსებმა ცხლა არ დაგვხოცეს, ზამთარში დაუთესაობით გამოწვეული შიმშილი დაგვხოცავსო“ და ეს მართალიც არის.

ოს-ქართველთა შორის გამწვავებულმა დამოკიდებულებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, აუცილებლივ ამ გამწვავებას მოჰყვება არა სასურველი შედეგები თავის სამწუხარო შედეგებით.

თვით ოსების რევკომს ავიწყდება თავისი უფლებათა კომპეტენცია და ჰგზავნის სხვა და სხვა ბრძანებებს. მაგალითად, ამ ერთი თვის წინად, ჯავის რევკომმა მიიღო მოწერილობა ცხინვალების შემდეგი შინაარსისა: „ვინაიდან სამხრეთ ოსეთის რევკომი არ ემორჩილება საქართველოს რევკომს, წინადადებას გაძლევთ ყოველივე ჩვენი მოწერილობა სისრულეში იყვეს მოყვანილი დაუყოვნებლივ“. აღსანიშნავია ის, რომ შინდისის რაიონი სრულიად დაშორებულია ოსეთს და მთელს მის ტერიტორიაში ერთ კომლ ოსის მოსახლეობას ვერ ნახავთ.

გუშინდელ სტრაჟნიკებს და დღეს კომუნისტურ ქუდებში გამოწყობილთ, ავიწყდებათ ის, რომ შინდისის რევკომს იგივე უფლება აქვს თავის რაიონში, რაც ჯავის რევკომს თავის ფარგლებში. ამ გვარი თვითნებობა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის უფლებათა მითვისება არის ჩვენი სხელმწიფოს უფლების შეურაცყოფაც და ანარქიის შექმნაც მმართველობაში.

ბევრს ამაზედ უფრო შემაძრწუნებელ საქციელს აქვს ადგილი, მაგრამ მეტის გაგრძელება საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ყოველივე ამას უნდა მიექცეს სათანადო და სერიოზული ყურადღება; ხალხი იტანჯება, მას დღეს თუ არა, ხვალ აევსება მოთმინების ფიალა და არასასურველ შედეგების მოწმე გავხდებით, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული ვისგანაც ჯერარს.

უბედურობის ცეცხლი ანთია მას ჩაქრობა ესაჭიროება, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

მაყო.

---

1921 წლის ივნისის 5-ს

ტფილისში დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის

# მეექვსე კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. მომენტი და ტაქტიკა,
2. მთავარი კომიტეტის მოქმედება და
3. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციაზე დელეგატებად გზავნიან პარტიული ორგანიზაციები 200 კაცზე ერთს. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ორასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

არჩევნებს ხელმძღვანელობს სათანადო საქალაქო, სამაზრო ან საოლქო კომიტეტი და იგივე ამტკიცებს მანდატს.

კონფერენციის მომწვევი მთავ. კომიტეტი და დრ. მთავ. კომიტეტის კომისია.

---

# ახალი ამბები

— **შიმშილი ხოფლებში.** როგორც ზემო იმერეთიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ იქ ხანგრძლივი გოლვა და მასთან შიმშილობა—დიდ კრიზის განიცდის მთელი კუთხე პურის მოსავლამდე განსაკუთრებით დამშეულია სოფლები ჭიათურის სამრეწველო რაიონისა—პერევისა, მოძგვეთი და წირქვალი. საჭიროა დაუყონებლივ სიმინდის მიწოდება ამ სოფლებისათვის.

— **რკინის გზებზე.** ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ რკინის გზათა უფროსის ამხ. პირინოვის ბრძანებით ამიერ კავკასიის გადატანგადმოტანის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ვეიზერი მაისის 18-დან შეუდგა ამიერ კავკასიის რკინის გზების ექსპლოატაციის სამსახურის უფროსის მოვალეობის ასრულებას, თავის მოვალეობის ასრულებით.

მოირაიბის უფროსის მოვალეობის აღმასრულებლათ დამტკიცებულია მოძრაობის უფროსის მოადგილე ბაქლოვი.

— **რევტრიბუნალის მოძრავი სესხია.** 18 მაისს გორის მაზრაში წავიდა რევოლუციონურ ტრიბუნალის სესია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. კურულაშვილის თავმჯდომარეობით ადგილობრივ რევკომების მოქმედების შესახებ საჩივრების განსახილველად, დამნაშავეთ გასასამართლებლად და განაჩენების ადგილობრივ შესასრულებლად.

— **საბჭოთა სახადილოების მომარაგების გაუმჯობესება.** მუშათა კვების გაუმჯობესების მიზნით სასურ. სახალ. კომის. კოლეგიამ დაავალა ამხ. ერქომაიშვილს გაეცნოს სასადილოების სურსათის მომარაგების საქმეს და მიიღოს ყოველივე ზომები მომარაგების გასაუმჯობესებლად.

— სამშაბათს, მაისის 24-ს საღამოს 5 საათზე, საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილ ქართული კლუბის შენობა—დამფუძნებელი კრების ქ. № 5, დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა არაჩვეულებრივი კრება დელეგატების ასარჩევად იმ კრებაზე გასაგზავნად, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირისა. „საზოგადოების“ წევრებს სთხოვენ დაესწრონ კრებას.

— სამშაბათ, მაისის 24-ს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილ ქართული კლუბის შენობა—დამფუძნებელი კრების ქ. № 5) დანიშნულია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ არაჩვეულებრივი კრება დელეგატების ასარჩევად იმ კრებაზე გასაგზავნად, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირისა. „საზოგადოების“ წევრებს სთხოვენ დაესწრონ კრებას.

---

— **მუშათა კოოპერატივი.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა განიხილა [illegible] კითხვა [illegible] კოოპერატივის დაარსების შესახებ და [illegible] დაადგინა [illegible] გადააკეთონ ქალაქ. სასურ. კომ. შეთანხმით არჩეული ქალ. სასურსათო კომიტეტს, ამ ბაზაზე გაერთიანებული მუშათა კოოპერატივის საფუძველს.

## ბრძანება № 75.

სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბისადმი. „23“ მაისი 1921 წ. ქ. თბილისი.

§ I.

ყველა ის, ვინც ირიცხება ს. ს. ს. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის მარჩენში, დაკმაყოფილების შტაბიდან ღებულობს, გამოცხადდენ რეგისტრაციისათვის 24 და 25 მაისის განმავლობაში შტაბის საინტენდანტო განყოფ. საღამოს 5 დან 8 საათამდე.

ვინც აღნიშნულ დღეებში არ გამოცხადდება და არ წარმოადგენს ცნობებს თავის შესახებ ამორიცხული იქნება—სიიდან და ყოველ გვარ კმაყოფილებიდან.

შტაბის უფროსი გენერალური შტაბის გაბაშვილი.

სამხედრო კომისარი მაყაშვილი.

## რადიო

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა.

**ბერლინი.** მაისის 5 საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პირველი კონგრესი, კაშინის და ლეროის თავმჯდომარეობით მაისის 15 დაიწყო. ფროსარის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას 1200 [illegible] წევრზე მეტი ჰყავს. ყრილობამ მსოფლიო რევოლუციას და 3 ინტერნაციონალს წერილი მილოცვა გაუგზავნა.

ალბანეთის ამბები.

**ბათომი.** მაისის 19. ტრაპიზონის გაზეთი „ისიდბალ“-ძა მოათავსა დიდი წერილი, შესახებ ალბანიაში მომხდარ ამბებისა. გაზეთი აცხადებს, რომ ალბანეთის ბეგობების დამარცხებით ანტანტა ლიაში სუსტ ისარგებლოს. ბერძნები ბალკანეთის მთებზე არ შეუძლიან დიდხანს ღდგომით აწარმოონ ბრძოლა და დიდხანს წყაროთა. ალბანიის აჯანყება ეს პირველი ნიშანია საბერძნეთის ჯარის დამარცხებისა, რომელიც ჩქარა დაიწყება ბალკანეთის მთებზე.

## პარტიაში

დღეს, სამშაბათს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში (I აუდიტორიაში) დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლ. კრება. დასწრება ყველა პარტიულ ამხანაგებისა სავალდებულოა. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. გამგეობა.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** პარადობის მოწმობა და მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე სამხედრო მოწმობა გაცემული რევკომიდან გიორგი გურამიშვილის სახელზე, რაც მალე გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 103[illegible]

**დაიკარგა** სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაცემული პარადობის მოწმობა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბრეგაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1039

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და მათემატიკის მასწავლებელი ი. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

**ამზადებს**

საფუძვლიანად განმეორებით გამოცდებზე: მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.

მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 9—11 ს. 2—5 ს. 1015